საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N1155 2024 წლის 15 აგვისტო ქ. თბილისი

საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა (გამსესხებელს) და საქართველოს (მსესხებელს) შორის გასაფორმებელი საკრედიტო შეთანხმების (ქალაქ ხაშურის წყალარინების სისტემების მომსახურების გაუმჯობესება) დადების მიზნით საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის თანხმობის მიცემის შესახებ

„სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 2^2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, რათა საქართველოს სახელით დადოს საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა (გამსესხებელს) და საქართველოს (მსესხებელს) შორის საკრედიტო შეთანხმება (ქალაქ ხაშურის წყალარინების სისტემების მომსახურების გაუმჯობესება) შემდეგი ფინანსური პირობებით:

სესხის მოცულობა:	30 მილიონი ევრო;
სესხის ხანგრძლივობა:	20 წელი;

შეღავათიანი პერიოდი:	5 წელი;
სესხის საპროცენტო განაკვეთი:	ფიქსირებული ან ცვლადი საპროცენტო განაკვეთი (შეთანხმდება მხარეთა შორის თანხის ჩამორიცხვის ეტაპზე);
ვალდებულების გადასახდელი:	0.50% (ერიცხება სესხის აუთვისებელ თანხას);
ადმინისტრირების გადასახდელი:	სესხის თანხის 0.50% (ერთჯერადი გადასახდელი, ერიცხება სესხის მთლიან მოცულობას).

პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე